# საქართველოს მთავრობის

# განკარგულება №453

2021 წლის 25 მარტი

ქ. თბილისი

**„საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული „ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის“ მე-4 მუხლის:

**ა) მე-2 პუნქტის:**

**ა.ა) „ე.ე“ და „ე.ე$^{1}$“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;**

**ა.ბ) „ე“ ქვეპუნქტის შენიშვნის:**

**ა.ბ.ა) პირველი – 2$^{1}$ პუნქტები ამოღებულ იქნეს;**

**ა.ბ.ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. მოცემული წესების დარღვევისას (ავტოსატრანსპორტო საშუალების თვითნებურად დატოვება, აკრძალულ მონაკვეთებზე თვითნებურად გაჩერება და სხვა), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც კლიმატური პირობები ან სხვა გარე ფაქტორები ართულებს ან/და შეუძლებელს ხდის დადგენილი პირობის შესრულებას, ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი დაჯარიმდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42$^{10}$ მუხლის შესაბამისად და მოთავსებულ იქნება 8-დღიან კარანტინში, ხოლო სატრანსპორტო საშუალება გადაყვანილ იქნება საჯარიმო სადგომზე.“;

**ბ) მე-4 პუნქტის:**

**ბ.ა) „გ“ ქვეპუნქტი და „გ“ ქვეპუნქტის შენიშვნა ამოღებულ იქნეს;**

**ბ.ბ) „დ$^{1}$.ა“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.**

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**